

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 28271 ოცდა რვა ათას ორას სამოცდათერთმეტი ლარი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული პირი.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.5. ხელშეკრულების საერთო თანხის დარჩენილი 10%-ის ანგარიშსწორება განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბოლოო მიღება-ჩაბარება ან/და ანგარიშფაქტურა დგება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის გავლისა და საექსპერტო დასკვნის შედგენის შემდეგ.

4.6. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსის) გამოყენება, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წარმოდგენილი იქნება გარანტია (ბანკი ან სადაზღვევო კომპანია). საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის სამუშაოთა მოცულობის შესრულების შემდეგ, შემსყიდველის თანხმობით საბანკო გარანტია უქმდება. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადას.

4.7. მიმწოდებლისთვის გადახდილი ავანსი ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო თანხის ანგარიშში.

მუხლი 5. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

5.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71

5.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანე 20(ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება;

გ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

დ) უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება დანართ №1-ში გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით;

ე) უზრუნველყოს სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალების, აღჭურვილობისა და მექანიზმების მიწოდება საკუთარი შესაძლებლობებითა და რესურსებით;

ვ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

ზ) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო ნაგვისაგან, ნარჩენი მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.; პერიოდების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქ. თბილისის, №126 საჯარო სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 9. გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი და დადგენილი სტანდარტების შესაბამისი.

9.2 საგარანტიო ვადა შეადგენს 5 (ხუთ) წელს, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, რაც დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს ხარისხთან.

9.3 საგარანტიო ვადაში წარმოქმნილი ხარვეზი უნდა აღმოფხვრას შემსყიდველის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 დღისა.

9.4. მიმწოდებლის მიერ 9.3 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორები

11.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტენ შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით. ავანსის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ავანსის თანხის ოდენობით. ორივე შემთხვევაში საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადას.

12.2. საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებით შესრულების გამო.

12.3. საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მიმწოდებელს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგნის შესახებ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.

12.4. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას საბანკო გარანტია.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ

ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

- ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
- დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 14. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 15. შეტყობინება

15.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

15.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 17. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. განმარტებისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს

№126 საჯარო სკოლის შენობის გამაგრებით-გამდიდრებითი დამატებითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| # | სამუშაოებისა და დანახარჯების რაოდენობა | განზ. ერთ. | რაოდენობა | | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება | | შენიშვნა |
|----|--|-------------------|---------------------|-------|----------------------------|--------|----------|
| | | | წორმატივის ერთეულზე | სულ | ერთეულზე | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | სადემონტაჟო სამუშაოები | | | | | | |
| 1 | ასფალტბეტონის საფარის დემონტაჟი | 100მ ² | კაც/სთ 20.5 | 1.0 | 3.5 | 71.75 | |
| | შრომის დანახარჯები | ლარი | 7.8 | 7.80 | 3.2 | 24.96 | |
| | სხვა მანქანები | გრძ.მ | | 50.0 | 1 | 50.00 | |
| 2 | ბეტონის ზორდიოურის დემონტაჟი | კაც/სთ | 1.0 | 50.0 | 3.2 | 1.60 | |
| | შრომის დანახარჯები | ლარი | 0.01 | 0.50 | | | |
| | სხვა მანქანები | 100მ ² | | 0.36 | | | |
| 3 | ლითონის გისოსების დემონტაჟი | კაც/სთ | 100.0 | 36.0 | 0.5 | 18.00 | |
| | შრომის დანახარჯები | ლარი | 2 | 0.72 | 3.2 | 2.30 | |
| | სხვა მანქანები | მ ³ | | 6.0 | | | |
| 4 | კიბის ბაქნის დემონტაჟი | კაც/სთ | 8.8 | 52.8 | 3.5 | 184.80 | |
| | შრომის დანახარჯები | ლარი | 4.8 | 28.80 | 3.2 | 92.16 | |
| | სხვა მანქანები | 100მ ² | | 0.03 | | | |
| 5 | ლითონის მოაჯირის დემონტაჟი | კაც/სთ | 100.0 | 3.0 | 3.5 | 10.50 | |
| | შრომის დანახარჯები | ლარი | 2 | 0.06 | 3.2 | 0.19 | |
| | სხვა მანქანები | ცალი | | 18.0 | | | |
| 6 | ფანჯრის საცრემლვების დემონტაჟი | კაც/სთ | 0.14 | 2.5 | 3.5 | 8.82 | |
| | შრომის დანახარჯები | 100მ ² | | 0.25 | | | |
| | ნალესის დემონტაჟი | კაც/სთ | 18.6 | 4.7 | 3.5 | 16.28 | |
| | შრომის დანახარჯები | ლარი | 0.16 | 0.04 | 3.2 | 0.13 | |
| | სხვა მანქანები | 100მ ² | | 0.96 | | | |
| 8 | პარკეტის იატაკის დემონტაჟი | კაც/სთ | 47.2 | 45.3 | 3.5 | 158.59 | |
| | შრომის დანახარჯები | ლარი | 3.01 | 2.89 | 3.2 | 9.25 | |
| | სხვა მანქანები | 100მ ² | | 0.54 | | | |
| 9 | გრანიტისა და მეტლაბის იატაკის აყრა | კაც/სთ | 32.3 | 17.4 | 3.5 | 61.05 | |
| | შრომის დანახარჯები | ლარი | 2.15 | 1.16 | 3.2 | 3.72 | |
| | სხვა მანქანები | გრძ.მ | | 235.0 | | | |
| 10 | გათბობის მილების დემონტაჟი | | | | | | |

| | | | | | | | |
|----|--|-------------------|-------|-------|-------|--------|--|
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.0 | 235.0 | 0.2 | 47.00 | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.01 | 2.35 | 3.2 | 7.52 | |
| 11 | რადიატორების დემონტაჟი | გალი | | 24.0 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.0 | 24.0 | 3.5 | 84.00 | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.1 | 2.40 | 3.2 | 7.68 | |
| | სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები | | | | | | |
| 1 | ქვიშა-ციმენტის ხსნარით მოქიმივის მოწყობა | 100მ ² | | 1.50 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 100.0 | 150.0 | 6.25 | 937.50 | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 1.87 | 2.81 | 3.2 | 8.98 | |
| | ქვიშა-ციმენტის ხსნარი | მ ³ | 4.08 | 6.12 | 90 | 550.80 | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 6.36 | 9.54 | 3.2 | 30.53 | |
| 2 | ცოქუნტის დამუშავება ხელით | 100მ ³ | | 0.34 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 100.0 | 34.0 | 15.00 | 510.00 | |
| 3 | მოწოდებული რ/ზ კონსტრუქციის მოწყობა | 100მ ³ | | 0.065 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 100.0 | 6.5 | 62.50 | 406.25 | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 50 | 3.25 | 3.2 | 10.40 | |
| | ბეტონი | მ ³ | 101.5 | 6.60 | 110 | 725.73 | |
| | არმატურა | ტონა | 4 | 0.279 | 1520 | 424.37 | |
| | ხის მასალა | მ ³ | 4 | 0.26 | 520 | 135.20 | |
| | სხვა მასალები | ლარი | 40 | 2.60 | 3.2 | 8.32 | |
| 4 | ბეტონის ბორდიურის მოწყობა | გრძ.მ | | 50.00 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.0 | 50.0 | 3.75 | 187.50 | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.1 | 5.00 | 3.2 | 16.00 | |
| | ბეტონი | მ ³ | 0.02 | 1.00 | 95 | 95.00 | |
| | ბორდიური | გრძ.მ | 1 | 50.00 | 6.6 | 330.00 | |
| | სხვა მასალები | ლარი | 0.03 | 1.50 | 3.2 | 4.80 | |
| 5 | ბეტონის შემონაკვირვლის მოწყობა | 100მ ³ | | 0.05 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 100.0 | 5.0 | 37.50 | 187.50 | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 28.3 | 1.42 | 3.2 | 4.53 | |
| | ბეტონი მ100 | მ ³ | 102 | 5.10 | 95 | 484.50 | |
| | სხვა მასალები | ლარი | 62 | 3.10 | 3.2 | 9.92 | |
| 6 | კიბის ბაქნის და საფეხურების მოწყობა | 100მ ³ | | 0.06 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 100.0 | 6.0 | 75.00 | 450.00 | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 81 | 4.86 | 3.2 | 15.55 | |
| | ბეტონი | მ ³ | 101.5 | 6.09 | 110 | 669.90 | |
| | არმატურა | ტონა | 7.76 | 0.47 | 1520 | 707.71 | |
| | ყალიბის ფარი | მ ² | 137 | 8.22 | 12 | 98.64 | |
| | ხის მასალა | მ ³ | 3.66 | 0.22 | 520 | 114.19 | |
| | სხვა მასალები | ლარი | 39 | 2.34 | 3.2 | 7.49 | |

| | | | | | | | | |
|----|--|-------------------|--------|-------|---------|--|--|--|
| 7 | ლიტონის მოაჯირის მოწყობა | 100მ ³ | 0.03 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 3.0 | 7.50 | 22.50 | | | |
| | ლიტონის მოაჯირი | მ ² | 3.00 | 75 | 225.50 | | | |
| 8 | ფასადის კედლის გამაგრება | 100მ ² | 0.68 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კ/ს | 272.00 | 3.5 | 952.00 | | | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 12.30 | 3.2 | 39.37 | | | |
| | ფურცლოვანი ფოლადის დეტალები | კგ | 32.44 | 2 | 64.87 | | | |
| | არმატურა ა III | ტონა | 1.541 | 1520 | 2342.32 | | | |
| | არმატურა ა I | ტონა | 0.099 | 1550 | 153.22 | | | |
| | ბეტონი | მ ³ | 1.015 | 110 | 334.95 | | | |
| | ხის მასალა | მ ³ | 0.41 | 520 | 214.50 | | | |
| | სხვა მასალები | ლარი | 23.20 | 3.2 | 74.24 | | | |
| 9 | ფანჯრის რაფის მოწყობა | ცალი | 18.0 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 18.0 | 7.50 | 135.00 | | | |
| | ფანჯრის რაფა | ცალი | 18.00 | 30 | 540.00 | | | |
| | სხვა მასალები | ლარი | 3.60 | 3.2 | 11.52 | | | |
| 10 | ფანჯრებზე საცრემლების მოწყობა | ცალი | 18.0 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 18.0 | 5.00 | 90.00 | | | |
| | საცრემლე | ცალი | 18.00 | 6.5 | 117.00 | | | |
| | სხვა მასალები | ლარი | 0.72 | 3.2 | 2.30 | | | |
| 11 | ფასადის კედლის დაკავშირება შიგა კედლებთან, ჩაბნეობით | წერტ- | 24.0 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კ/ს | 57.20 | 3.5 | 200.18 | | | |
| | სხვა მანქანები | ლარი | 1.03 | 3.2 | 3.29 | | | |
| | კუთხოვანა №100 | ტონა | 0.31 | 1700 | 528.28 | | | |
| | არმატურა ა III | ტონა | 0.339 | 1520 | 515.51 | | | |
| | პოლიმერცემენტის ხსნარი | მ ³ | 0.075 | 150 | 11.25 | | | |
| | სხვა მასალები | ლარი | 1.60 | 3.2 | 5.12 | | | |
| 12 | წყალსაწრეტი მილების მოწყობა | გრძ.მ | 30.0 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 30.0 | 3.50 | 105.00 | | | |
| | პლასტმასის მილი | გრძ.მ | 30.00 | 5 | 150.00 | | | |
| | სხვა მასალები | ლარი | 6.00 | 3.2 | 19.20 | | | |
| 13 | გრუნტის უკუჩაყრა ხელით | 100მ ³ | 0.20 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 20.0 | 10.00 | 200.00 | | | |
| 14 | სამშენებლო ნაგვის და გრუნტის დატვირთვა ავტოთვიომცლელზე | ტონა | 35.2 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კ/ს | 35.20 | 10 | 352.00 | | | |
| 15 | ზედმეტი გრუნტის და ნაგვის გატანა | ტონა | 35.2 | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 35.2 | 0.58 | 20.42 | | | |
| | ავტოთვიომცველი | გრძ.მ | 35.20 | 8 | 281.60 | | | |

| 16 | კედლების შეღებვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით | 100მ ² | 0.20 | 6.25 | 125.00 | |
|----|--|-------------------|--------|-------|--------|---------|
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 100.0 | 20.0 | 6.25 | 125.00 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 6.8 | 1.36 | 3.2 | 4.35 |
| | ქვიშა-ცემენტის ხსნარი | მ ³ | 2.38 | 0.48 | 90 | 42.84 |
| | სხვა მასალები | ლარი | 0.3 | 0.06 | 3.2 | 0.19 |
| 17 | ბეტონის გადახურვის ფილებში ბერელების გახვევა | წერტ. | 8.00 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.0 | 8.0 | 10.00 | 80.00 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.174 | 1.39 | 3.2 | 4.45 |
| 18 | გაბობის სისტემის მიღმაცვანილობის მოწყობა | გრძ.მ | 235.0 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.0 | 235.0 | 2.50 | 587.50 |
| | მილი დ=63 | გრძ.მ | - | 12.0 | 15.1 | 181.20 |
| | მილი დ=50 | გრძ.მ | - | 45.0 | 9.8 | 441.00 |
| | მილი დ=40 | გრძ.მ | - | 30.0 | 6.6 | 198.00 |
| | მილი დ=32 | გრძ.მ | - | 56.0 | 3.9 | 218.40 |
| | მილი დ=25 | გრძ.მ | - | 20.0 | 2.5 | 50.00 |
| | მილი დ=20 | გრძ.მ | - | 72.0 | 1.7 | 122.40 |
| 19 | გაბობის სისტემის ჰიდრავული კური გამოცდა | გრძ.მ | 235.00 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.0 | 235.0 | 0.30 | 70.50 |
| 20 | რადიატორების მონტაჟი | ცალი | 24.00 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.0 | 24.0 | 50.00 | 1200.00 |
| 21 | ბურთულიანი ურდულების მოწყობა | ცალი | 7.00 | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.0 | 7.0 | 7.50 | 52.50 |
| | ბურთულიანი ურდული | ცალი | 1 | 7.00 | 8.5 | 59.50 |
| | დამხმარე მასალები | ცალი | 578.00 | | | |
| | ამერიკანკა დ=20 | ცალი | 48.00 | 48.00 | 4.2 | 201.60 |
| | ბრახნი დ=20 | ცალი | 48.00 | 48.00 | 1 | 48.00 |
| | სამკავი დ=63 | ცალი | 2.00 | 2.00 | 3.4 | 6.80 |
| | სამკავი დ=50 | ცალი | 3.00 | 3.00 | 2.1 | 6.30 |
| | სამკავი დ=40 | ცალი | 3.00 | 3.00 | 0.85 | 2.55 |
| | სამკავი დ=32 | ცალი | 48.00 | 48.00 | 0.59 | 28.32 |
| | სამკავი დ=25 | ცალი | 48.00 | 48.00 | 0.42 | 20.16 |
| | მუფტა დ=63 | ცალი | 5.00 | 5.00 | 2.5 | 12.50 |
| | მუფტა დ=50 | ცალი | 16.00 | 16.00 | 1.7 | 27.20 |
| | მუფტა დ=40 | ცალი | 8.00 | 8.00 | 0.7 | 5.60 |
| | მუფტა დ=32 | ცალი | 16.00 | 16.00 | 0.42 | 6.72 |
| | მუფტა დ=25 | ცალი | 8.00 | 8.00 | 0.34 | 2.72 |
| | მუფტა დ=20 | ცალი | 20.00 | 20.00 | 0.17 | 3.40 |
| | მუხლი დ=63 | ცალი | 6.00 | 6.00 | 2.5 | 15.00 |
| | მუხლი დ=50 | ცალი | 8.00 | 8.00 | 1.5 | 12.00 |
| | მუხლი დ=40 | ცალი | 8.00 | 8.00 | 0.65 | 5.20 |
| | გადამცვანი დ=63X40 | ცალი | 2.00 | 2.00 | 1.5 | 3.00 |

